

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ბასმოტორს თბილისი

2023 წლის ინდივიდუალური  
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი:

1. სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
6. განმარტებითი შენიშვნები

შპს “ბასმოტორს თბილისი”-ს დირექტორი

ამირან ბასილაძე და რუსლან ბასილაძე

01 იანვარი 2022

შპს “ბასმოტორს თბილისი”-ს

### სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს „ბასმოტორს თბილისი“ ს/კ 400 118 948 დაფუძნებულია 30/05/2014 წელს მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში.

#### საზოგადოების დამფუძნებლები:

ამირან ბასილაძე 50%-იანი წილის მფლობელი

რუსლან ბასილაძე 50 %-იანი წილის მფლობელი.

#### საზოგადოების დირექტორები:

ამირან ბასილაძე

რუსლან ბასილაძე

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 270

ფაქტობრივი მისამართი: ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 270

საიდენტიფიკაციო კოდი: 400 118 948

### ზოგადი დებულება

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

-საცალო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით.

- სატრანსპორტო საშუალებებზე/მძიმე ტექნიკაზე რემონტი და ტექნიკური მომსახურება.

- სხვა საქმიანობა რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

-საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს.

### აღრიცხვა და ანგარიშგების ფორმა

წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ.
- საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის(მსს ფასს).
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
- წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებს 2020 წლის 01 იანვრიდან.
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საზოგადოების დირექტორი.

### ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა -კომპიუტერული პროგრამა „ ორის ბუღალტერიის“ მეშვეობით.

### ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

### ფულადი ნაკადების აღრიცხვა-ანგარიშგება

ბუღალტრული ოპერაციები იწარმოება როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო, ლირა), იმ დღით დაწესებული ეროვნული ბანკის დადგენილი კურსის მიხედვით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი დოკუმენტებით, მიღებული ინფორმაციებითა და შესაბამისი ბუღალტრული გატარებების საფუძველზე.

ნაშთი ფულად ერთეულში ეროვნულ ვალუტაში; 2022წ -148,562/ 2023წ-161,130.

ნაშთი ფულად ერთეულში უცხოურ ვალუტაში USD; 2022წ -11,213/ 2023წ-17,019

ნაშთი ფულად ერთეულში უცხოურ ვალუტაში EURO; 2022წ -32,80/ 2023წ-0

ნაშთი ფულად ერთეულში უცხოურ ვალუტაში TRY; 2022წ--7086,21/2023წ-100,89

### ანგარიშსწორების ფორმა

საზოგადოება ანგარიშსწორებას აწარმოებს როგორც უნაღდო ასევე ნაღდი ანგარისსწორების ფორმით.

### ანგარიშგების ვალუტა

ანგარიშგების საოპერაციო ვალუტა წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში-ლარი.

### უცხოური ვალუტა

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები ასახულია ანგარიშგების ვალუტაში ოპერაციების მოხდენის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი კურსით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული საბალანსო მუხლები შეფასებულია მიმდინარე კალენდარული წლის 31.12-ით სავალუტე კურსის შესაბამისად. კურსთა შორის სხვაობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადატანილია ფინანსურ შედეგებზე.

### USD/ლ EUR/ლ TRY/ლ

გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს

**2.6894    2.9753    0.0910**

კურსთა შორის სხვაობის შემდეგ მიღებული მოგება ან ზარალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადატანილია ფინანსურ შედეგებზე, მოგება ზარალში.

### ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება-თვითღირებულებით ან რეალური ღირებულებით.

შემენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება მისი თვითღირებულებით, რომელიც შეიცავს: შემენის ფასს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯებს, განბაჟების ხარჯებს, გეზის მომსახურების ხარჯს, არადაბრუნებად გადასახადებს, აქტივის მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს.

კომპანიაში ყოველი წლის ბოლოს კეთდება ინვენტარიზაცია, ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი ძირითადი საშუალებები აისახება არასაოპერაციო შემოსავლით საბაზრო ღირებულებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით-თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან, სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად ჯგუფების მიხედვით. მომსახურების ვადას განსაზღვრავს მენეჯმენტი.

**ოფისის აღჭურვილობა- 5 წელი/ავეჯი და სხვა ინვენტარი 5 წელი/სატრანსპორტო საშუალება 5-10 წელი**

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

შემდგომი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე.

უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის.

- არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრება 10 წლის ვადით.
- არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აისახება ნარჩენი ღირებულებით თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით

ძირითადი საშუალება

|                                 | მიწა    | ავეჯი,ოფისის<br>აღჭურვილობა,<br>ავეჯი და სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეტილმოწყობა | არამატერიალური<br>აქტივი | დაუმთავრებული<br>მშენებლობა | სულ ჯამი |
|---------------------------------|---------|------------------------------------------------------------|-----------------------------|----------------------------------------------|--------------------------|-----------------------------|----------|
| ნაშთი მიმდინარე წლის დასაწყისში | 281,097 | 28,477                                                     | 105,171                     | 6,463                                        | 1,319                    |                             | 422,527  |
| შეძენა თვითღირებულებით          |         | 144                                                        | 370                         | -                                            |                          | 204,133                     |          |
| გასვლა საბალანსო ღირებულებით    |         |                                                            |                             |                                              |                          |                             |          |
| დაგროვილი ცვეთა                 |         | (11,832)                                                   | (13,618)                    | (2,872)                                      | (367)                    |                             |          |
| გადაფასება                      |         |                                                            |                             |                                              |                          |                             |          |
| ნაშთი მიმდინარე წლის ბოლოს      | 281,097 | 16,789                                                     | 91,923                      | 3,591                                        | 952                      | 204,133                     | 598,485  |

სულ 2023 წლის ბოლოს ძირითადი საშუალებები; 598,485 ლარი.

ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯი

ბალანსზე რიცხულ ძირითად საშუალებებზე რემონტისას გაწეული ხარჯები თავისი შინაარსიდან გამომდინარე ჯგუფდება მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად.

მსუბუქ ავტომობილებზე და სხვა სახის ავტომობილებზე სათადარიგო ნაწილები ზეთისა და ფილტრების, საბურავის, და სხვა საჭირო ხარჯები მიეკუთვნება მიმდინარე ხარჯებს, ხოლო ისეთი ხარჯები რომლის გარეშეც ტრანსპორტი ვერ იმუშავებს კაპიტალიზდება.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადის გასვლის შემდეგ, თუ ის ისევ ექვემდებარება ექსპლუატაციას, აღირიცხება საბალანსო ღირებულებით ან მოხდება თავიდან შეფასება ქონების შემფასებელი კომპეტენტური პირის მიერ. თუ ძირითადი საშუალება ექვემდებარება ლიკვიდაციას,

მოხდეს მისი მასალებად ან ჯართად ქცევა მისი შემდგომ რეალიზაციის მიზნით საბაზრო ღირებულებით, თუ ეს შესაძლებელი იქნება სათანადო კომისიის დასკვნის შემდეგ და ავლრიცხვით მარაგებში.

### **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანუ მარაგების აღრიცხვა**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს; ასევე ხდება საზღვარგარეთ ავანსების გადარიცხვა საქონლის შესაძენად, რომელიც საქონლის შემოსვლის მომენტში მარაგებში აღირიცხება გადარიცხული ავანსის ღირებულებით.

-სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდი - უწყვეტი;

-სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო-შეწონილი“;

მარაგებში აღირიცხება შემდგომი რეალიზაციისათვის განკუთვნილი საქონელი, საწვავი და სატრანსპორტო საშუალებისათვის საჭირო საქონელი, რომელიც მიღებულია დოკუმენტურად სასაქონლო ზედნადების, ანგარიშ ფაქტურის, მიღება-ჩაბარების აქტის, შესყიდვის აქტის საფუძველზე. ასევე ხდება საქონლის მიღება ფიზიკური პირებისგან რომელზედაც ფორმდება შესყიდვის აქტი. რეალიზაციისათვის განკუთვნილი საქონელი- ჩამოიწერება გაყიდვის დროს მიღება ჩაბარების აქტების, დეფექტური აქტების, სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე. სატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილი სათანადო ნაწილები- ჩამოიწერება მძღოლის მიერ შემოტანილი განცხადებისა და ბრძანების საფუძველზე დირექტორის მხრიდან.

### **საწვავის აღრიცხვა**

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით/ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ბარათებში აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. ბარათებიდან ანგარიშვალდებულ პირებზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით და აღირიცხება უწყისებში.

საწვავი საწარმოს სატრანსპორტო საშუალებებზე ჩამოიწერება ფინანსთამინისტრის დადგენილი ფორმის საგზაო ფურცლის მიხედვით, საბაჟო დეკლარაციებისა ან ავტოსაგზაო ბარათების საფუძველზე ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

### **ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:**

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში აისახება და ჩამოწერა ხორციელდება ფაქტიურად გახარჯული მასალების მიხედვით.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში აისახება და ჩამოწერა ხორციელდება ფაქტიურად გახარჯული მასალების მიხედვით.

საექსპლუატაციო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციისა და მიმდინარე შეკეთებისათვის საჭირო სათანადო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

## ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება საქონლის რეალიზაციიდან მაშინ, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ხოლო მომსახურების აღიარება ხდება მომსახურების

დასრულების დროს, რომელზედაც გაფორმებული იქნება მიღება-ჩაბარების აქტი. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

## შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა და მოგება-ზარალის ანგარიშგება

- შემოსავლები და ხარჯები აღრიცხება დარიცხვის მეთოდით.
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით.
- პროდუქციის რეალიზაციის - 7200 სინთეზურ ანგარიშზე, მიწოდებისა და რეკლამის ხარჯები - 7300 სინთეზურ ანგარიშზე, ხოლო ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები - 7400 სინთეზურ ანგარიშზე, რომელთაც საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ეხსენება სუბანგარიშები. დანახარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით აღრიცხება დიფერენცირებულად.
- არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები აღრიცხება შესაბამისად 8100 და 8200 სინთეზურ ანგარიშებზე;
- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით .

## სავაჭრო მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება როგორც ჩვეულებრივად ასევე კონსიგნაციით, დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში. საქონლის საცალო რეალიზება ხდება როგორც ფიზიკურ პირებზე, ასევე ორგანიზაციებზე. ნეტო ამონაგები მოიცავს 18% დღგ-ით დასაბეგრ , 0%-ით დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვებს და ასევე დღგ-ს ჩათვლის უფლების გარეშე განთავისუფლებულ ბრუნვებს.

## სავაჭრო ვალდებულებები

ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ კონსიგნაციის პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის

არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი  
 აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

**ყოველი წლის ბოლოს ხდება დებიტორებთან - კრედიტორებთან შედარება და ფორმდება შედარების აქტები.**

### **ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები**

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს სასაწყობე ფართი და მაღაზია, იჯარის ვადა 1 წელია.  
**შრომის ანაზღაურება**

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ  
 დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად. ხელფასებს, ბონუსებს, ანაზღაურებად შვებულებებს,  
 კომპანია ასახავს დარიცხვის მეთოდით იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ  
 შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება  
 ხორციელდება ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

### **ბანკის სესხები და ოვერდრაფტები**

ბანკიდან,ლიზინგის სახით საწარმოდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების  
 სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების)  
 დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

### **წარმომადგენლობითი ხარჯები**

ორგანიზაციის წარმომადგენლობითი ხარჯების ზღვრული ოდენობა განისაზღვრება წინა  
 კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 1%-ით, 1%-ზე გადამეტება კი დაიბეგრება  
 მოგების გადასახადით; ხოლო, თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს (ზარალის  
 შემთხვევაში) გაწეული ხარჯის 1%-ით.

წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავს: მივლინების და სტუმრების მიღების ხარჯებს, რომლებიც  
 მოიცავს სასტუმროსა და საკონფერენციო დარბაზის ხარჯებს, ტრანსპორტის ხარჯებს, კულტურული  
 ღონისძიების და სადილის ხარჯებს. წარმომადგენლობითი ხარჯების ხარჯებში აღიარება ხდება  
 წარმოდგენილი საბუთების მიხედვით

### **ქონების გადასახადი**

ქონების გადასახადის გაანგარიშება ხდება ბალანსზე რიცხული აქტივების შესაბამისად საანგარიშო  
 წლის და წინა წლის აქტივების ნარჩენი ღირებულების საშუალო არითმეტიკულით.

**საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.**

### **მოგების განაწილება**

-კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“  
 კანონით განსაზღვრული წესით.

### **კაპიტალის მოძრაობა**

|                         | 2020 წ         | 2021წ         | 2022წ          | 2023წ          |
|-------------------------|----------------|---------------|----------------|----------------|
| კაპიტალის შეტანა        | 124,392        | 65,000        | 212,769        | 150,098        |
| კაპიტალის გატანა        |                | (92,200)      | (101,059)      | (150,098)      |
| <b>ნაშთი წლის ბოლოს</b> | <b>124,392</b> | <b>97,192</b> | <b>208,902</b> | <b>208,902</b> |

-მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება დივიდენდების გასაცემად;

### დივიდენდის განაწილება

დივიდენდების ვალდებულებად აღრიცხვა ხდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადებისა და დამტკიცების შესაბამის პერიოდში.

### საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა

-საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად;

-საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით.

### დღგ

კომპანია გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გათვალისწინებით).

### დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება;

- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებული ოპერაციები;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები აისახება საგადასახადო ანგარიშგებაში;
- საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

### ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

საწარმოებს, თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სააღრიცხვო პოლიტიკის ამ თავში შეუძლიათ შეიტანონ დაზუსტებული ანგარიშთა გეგმა დამატებითი ანგარიშების გახსნით.

### ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

წყაროს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ

დირექტორი:

ამირან ბასილაძე

დირექტორი:

რუსლან ბასილაძე

|                              | 31/12/2023       | 31/12/2022       | 31/12/2021       |
|------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>              |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b> |                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები         | 598,485          | 422,527          | 137,582          |
| არამატერიალური აქტივი        |                  |                  |                  |
| საინვესტიციო ქონება          |                  |                  |                  |
| ბიოლოგიური აქტივი            |                  |                  |                  |
| ინვესტიციები მეკავშირე       |                  |                  |                  |
| საწარმოში                    |                  |                  |                  |
|                              | <b>598,485</b>   | <b>422,527</b>   | <b>137,582</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b> |                  |                  |                  |
| ფული და ფულთან               |                  |                  |                  |
| გათანაბრებული                | 208,010          | 228,092          | 217,970          |
| ინსტრუმენტები                |                  |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა              | 507,826          | 540,488          | 269,116          |
| მოკლევადიანი მოთხოვნები      |                  |                  |                  |
| გადახდილი ავანსები           |                  | 159,397          | 130,850          |
| მარაგები                     | 1,522,148        | 1,333,013        | 1,502,220        |
| მისაღები დივიდენდები და      |                  |                  |                  |
| პროცენტები                   |                  |                  |                  |
| სხვა აქტივი                  | 55,535           | 3,020            | 1,000            |
|                              | <b>2,293,519</b> | <b>2,264,010</b> | <b>2,121,156</b> |
| <b>მთლიანი აქტივები</b>      | <b>2,892,004</b> | <b>2,686,537</b> | <b>2,258,738</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>      |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი           | <b>208,902</b>   | <b>208,902</b>   | <b>97,192</b>    |
| გაუნაწილებელი მოგება /       |                  |                  |                  |
| (დაგროვილი ზარალი)           | 2,193,517        | 1,718,145        | 1,203,252        |
| გადაფასების რეზერვი          |                  |                  |                  |
|                              | <b>2,402,419</b> | <b>1,927,047</b> | <b>1,300,444</b> |
| <b>ვალდებულებები</b>         |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი</b>          |                  |                  |                  |
| <b>ვალდებულებები</b>         |                  |                  |                  |
| გრძელვადიანი სესხები         |                  | 68082            |                  |
| სხვა გადავადებული            |                  |                  |                  |
| გადასახადი                   |                  |                  |                  |
|                              | <b>0</b>         | <b>68,082</b>    | <b>0</b>         |
| <b>მოკლევადიანი</b>          |                  |                  |                  |
| <b>ვალდებულებები</b>         |                  |                  |                  |

|                         |                  |                  |                  |
|-------------------------|------------------|------------------|------------------|
| მოკლევადიანი სესხები    |                  |                  |                  |
| გადავადებული შემოსავალი |                  |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა         |                  |                  |                  |
| მოკლევადიანი            | 489,585          | 689,648          | 958,294          |
| ვალდებულებები           |                  |                  |                  |
| ვალდებულებები           |                  |                  |                  |
| თანამშრომელთა მიმართ    |                  |                  |                  |
| საგადასახადო            |                  |                  |                  |
| ვალდებულებები           |                  | 1,760            |                  |
| გადასახდელი პროცენტი    |                  |                  |                  |
| გადასახდელი დივიდენდი   |                  |                  |                  |
|                         | <b>489,585</b>   | <b>691,408</b>   | <b>958,294</b>   |
| მთლიანი ვალდებულებები   | <b>489,585</b>   | <b>759,490</b>   | <b>958,294</b>   |
| მთლიანი კაპიტალი &      |                  |                  |                  |
| ვალდებულებები           | <b>2,892,004</b> | <b>2,686,537</b> | <b>2,258,738</b> |

#### მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

|                                | 31/12/2023         | 31/12/2022         |
|--------------------------------|--------------------|--------------------|
| ამონაგები                      | <b>3,537,884</b>   | <b>4,098,388</b>   |
| საქონლის გაყიდვიდან            | 3,537,152          | 4,085,096          |
| მომსახურების გაწევიდან         | 10,473             | 43,436             |
| ფასდაკლება და უკან დაბრუნებული | (9,741)            | (30,144)           |
| გაყიდული საქონელი              |                    |                    |
| რეალიზებული პროდუქციის         | <b>(2,797,717)</b> | <b>(3,147,108)</b> |
| თვითღირებულება:                |                    |                    |
| საერთო მოგება                  | <b>740,167</b>     | <b>951,280</b>     |
| სხვა შემოსავლები               | 101,758            | 298,601            |
| დასაქმებულთა ანაზღაურება       | (177,343)          | (212,313)          |
| ცვეთა და ამორტიზაცია           | (28,689)           | (33,813)           |
| საპროცენტო შემოსავალი          |                    |                    |

|                                                      |                   |                   |
|------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საპროცენტო ხარჯი                                     | (13,961)          | (1,278)           |
| იჯარის ხარჯი                                         | (50,869)          |                   |
| ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი                 | (55,722)          | (129,739)         |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                             | <b>515,341</b>    | <b>872,738</b>    |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი                  | (72,963)          | (341,429)         |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი</b>          | <b>442,378</b>    | <b>531,309</b>    |
| მოგების გადასახადი                                   |                   | (19,254)          |
| <b>პერიოდის მოგება</b>                               | <b>442,378</b>    | <b>531,309</b>    |
| პერიოდის მთლიანი სრული მოგება/ზარალი                 | 442,378           | 531,309           |
| <b>ფულადი ნაკადების ანგარიშგება</b>                  | <b>31/12/2023</b> | <b>31/12/2022</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>      |                   |                   |
| გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები | 3,860,337         | 4,577,452         |
| მიღებული ავანსები                                    | 183,648           | 46,570            |
| სხვა შემოსავალი                                      |                   |                   |
| მომწოდებელზე გადახდილი თანხები                       | (1,081,002)       | (2,005,843)       |
| ანგარიშ ვალდებულ პირზე გაცემული თანხები              | (402,695)         | (60,025)          |
| თანამშრომელზე ხელფასის სახით გაცემული თანხები        | (134,627)         | (166,301)         |
| ავანსის სახით გადახდილი ფულადი სახსრები              | (1,493,879)       | (1,346,029)       |
| გადახდილი გადასახადები                               | (546,476)         | (583,450)         |
| სხვა გადასახადები                                    | (45,844)          | (11,370)          |

|                                                                                           |           |           |
|-------------------------------------------------------------------------------------------|-----------|-----------|
| წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან                                           | 339,462   | 451,004   |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან                                                |           |           |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                                              | (241,653) | (413,244) |
| წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან                                         | (241,653) | (413,244) |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან                                                   |           |           |
| შემოსავალი სავალუტო გადაფასებიდან                                                         | 30,599    | 34,528    |
| კაპიტალიდან შემოსული ფულადი სახსრები                                                      |           | 111,709   |
| შემოსავალი გრძელვადიანი სესხიდან                                                          |           |           |
| შემოსავალი მოკლევადიანი სესხიდან                                                          |           |           |
| გასავალი სავალუტო გადაფასებიდან                                                           | (66,375)  | (152,307) |
| მოკლევადიანი სესხის დაფარვა                                                               |           |           |
| გრძელვადიანი სესხის დაფარვა                                                               | (68,083)  | (20,290)  |
| სავალუტო გადაფასების ხარჯი                                                                |           |           |
| სასესხო პროცენტის დაფარვა                                                                 | (14,032)  | (1,278)   |
| გადახდილი დივიდენდები                                                                     |           |           |
| კაპიტალის გატანა                                                                          |           |           |
| სხვა ვალდებულება                                                                          |           |           |
| წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან                                            | (117,891) | (27,638)  |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის                                                      | 228,092   | 217,970   |
| ფულადი სახსრების ექვივალენტების მოძრაობა წლის განმავლობაში                                | (20,082)  | 10,122    |
| ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი | 208,010   | 228,092   |

| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების<br>ანგარიშგება               | 2023 წელი | 2022 წელი |
|-------------------------------------------------------------|-----------|-----------|
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი<br>პერიოდის დასაწყისში     | 1,927,047 | 1,300,445 |
| საწესდებო კაპიტალის გაზრდა /შემცირება<br>გაცემული დივიდენდი |           | 111,710   |
| მიმდინარე წლის მოგება ზარალი                                | 442,380   | 512,055   |
| ცვლილებები მოგება ზარალში                                   | 32,995    | 2,837     |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                       | 2,402,422 | 1,927,047 |

## შპს ბასმოტორს თბილისი


## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                             | 12/31/2023       | 12/31/2022       | 12/31/2021       |
|---------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                             |                  |                  |                  |
| გრძელვადიანი აქტივები                       |                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                        | 598,485          | 422,527          | 137,582          |
| არამატერიალური აქტივი                       |                  |                  |                  |
| საინვესტიციო ქონება                         |                  |                  |                  |
| ბიოლოგიური აქტივი                           |                  |                  |                  |
| ინვესტიციები შეკავშირე საწარმოში            |                  |                  |                  |
|                                             | 598,485          | 422,527          | 137,582          |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                |                  |                  |                  |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები  | 208,010          | 228,092          | 217,970          |
| საგაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები     | 507,826          | 540,488          | 269,116          |
| გადახდილი ავანსები                          |                  | 159,397          | 130,850          |
| მარაგები                                    | 1,522,148        | 1,333,013        | 1,502,220        |
| მისაღები დივიდენდები და პროცენტები          |                  |                  |                  |
| სხვა აქტივი                                 | 55,535           | 3,020            | 1,000            |
|                                             | 2,293,519        | 2,264,010        | 2,121,156        |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                     | <b>2,892,004</b> | <b>2,686,537</b> | <b>2,258,738</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                     |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                          | 208,902          | 208,902          | 97,192           |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)   | 2,193,517        | 1,718,145        | 1,203,252        |
| გადაფასების რეზერვი                         |                  |                  |                  |
|                                             | 2,402,419        | 1,927,047        | 1,300,444        |
| <b>ვალდებულებები</b>                        |                  |                  |                  |
| გრძელვადიანი ვალდებულებები                  |                  |                  |                  |
| გრძელვადიანი სესხები                        |                  | 68,082           |                  |
| სხვა გადავადებული გადასახადი                | 0                | 0                | 0                |
|                                             | 0                | 68,082           | 0                |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>           |                  |                  |                  |
| მოკლევადიანი სესხები                        |                  |                  |                  |
| გადავადებული შემოსავალი                     |                  |                  |                  |
| საგაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები  | 489,585          | 689,648          | 958,294          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ          |                  |                  |                  |
| საკადასრულო ვალდებულებები                   |                  | 1,760            |                  |
| გადასახდელი პროცენტი                        |                  |                  |                  |
| გადასახდელი დივიდენდი                       |                  |                  |                  |
|                                             | 489,585          | 691,408          | 958,294          |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                | <b>489,585</b>   | <b>759,490</b>   | <b>958,294</b>   |
| <b>მთლიანი კაპიტალი &amp; ვალდებულებები</b> | <b>2,892,004</b> | <b>2,686,537</b> | <b>2,258,738</b> |

დირექტორი: ამირან ბასილაძე




დირექტორი: რუსლან ბასილაძე



მთ.ბუღალტერი:

მაკა აბრამიძე




შპს ბასმოტორს თბილისი

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

|                                                     | <u>12/31/2023</u> | <u>12/31/2022</u> |
|-----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ამონაგები                                           | 3,537,884         | 4,098,388         |
| საქონლის გაყიდვიდან                                 | 3,537,152         | 4,085,096         |
| მომსახურების გაწევიდან                              | 10,473            | 43,436            |
| ფასდაკლება და უკან დაბრუნებული<br>გაყიდული საქონელი | (9,741)           | (30,144)          |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:              | (2,797,717)       | (3,147,108)       |
| საერთო მოგება                                       | 740,167           | 951,280           |
| სხვა შემოსავლები                                    | 101,758           | 298,601           |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                            | (177,343)         | (212,313)         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                | (28,689)          | (33,813)          |
| საპროცენტო შემოსავალი                               |                   |                   |
| საპროცენტო ხარჯი                                    | (13,961)          | (1,278)           |
| იჯარის ხარჯი                                        | (50,869)          |                   |
| ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი                | (55,722)          | (129,739)         |
| საოპერაციო მოგება                                   | 515,341           | 872,738           |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი                 | (72,963)          | (341,429)         |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი                | 442,378           | 531,309           |
| მოგების გადასახადი                                  |                   | (19,254)          |
| პერიოდის მოგება                                     | 442,378           | 531,309           |
| პერიოდის მთლიანი სრული მოგება/ზარალი                | 442,378           | 531,309           |

დირექტორი: ამირან ბასილაძე




მთ.ბუღალტერი:

დირექტორი: რუსლან ბასილაძე




მაკა აბრამიძე



შპს ბასმოტორს თბილისი

| ფულადი ნაკადების ანგარიშგება                                                                     | 12/31/2023       | 12/31/2022       |
|--------------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან                                                         |                  |                  |
| გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები                                             | 3,860,337        | 4,577,452        |
| მიღებული ავანსები                                                                                | 183,648          | 46,570           |
| სხვა შემოსავალი                                                                                  |                  |                  |
| მომწოდებელზე გადახდილი თანხები                                                                   | (1,081,002)      | (2,005,843)      |
| ანგარიშ ვალდებულ პირზე გაცემული თანხები                                                          | (402,695)        | (60,025)         |
| თანამშრომელზე ხელფასის სახით გაცემული თანხები                                                    | (134,627)        | (166,301)        |
| ავანსის სახით გადახდილი ფულადი სახსრები                                                          | (1,493,879)      | (1,346,029)      |
| გადახდილი გადასახადები                                                                           | (546,476)        | (583,450)        |
| სხვა გადასახადები                                                                                | (45,844)         | (11,370)         |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                                           | <b>339,462</b>   | <b>451,004</b>   |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან                                                       |                  |                  |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                                                     | (241,653)        | (413,244)        |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                                         | <b>(241,653)</b> | <b>(413,244)</b> |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან                                                          |                  |                  |
| შემოსავალი სავალუტო გადაფასებიდან                                                                | 30,599           | 34,528           |
| კაპიტალიდან შემოსული ფულადი სახსრები                                                             |                  | 111,709          |
| შემოსავალი გრძელვადიანი სესხიდან                                                                 |                  |                  |
| შემოსავალი მოკლევადიანი სესხიდან                                                                 |                  |                  |
| გასავალი სავალუტო გადაფასებიდან                                                                  | (66,375)         | (152,307)        |
| მოკლევადიანი სესხის დაფარვა                                                                      |                  |                  |
| გრძელვადიანი სესხის დაფარვა                                                                      | (68,083)         | (20,290)         |
| სავალუტო გადაფასების ხარჯი                                                                       |                  |                  |
| ხასხის პროცენტის დაფარვა                                                                         | (14,032)         | (1,278)          |
| გადახდილი დივიდენდები                                                                            |                  |                  |
| კაპიტალის გატანა                                                                                 |                  |                  |
| სხვა ვალდებულებები                                                                               |                  |                  |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                                            | <b>(117,891)</b> | <b>(27,638)</b>  |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის                                                             | 228,092          | 217,970          |
| ფულადი სახსრების ექვივალენტების მოძრაობა წლის განმავლობაში                                       | (20,082)         | 10,122           |
| <b>ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი</b> | <b>208,010</b>   | <b>228,092</b>   |

დირექტორი: ამირან ბასილაძე




მთ.ბუღალტერი:

დირექტორი: რუსლან ბასილაძე




მკა აბრამიძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

|                                                      | 2023 წელი | 2022 წელი |
|------------------------------------------------------|-----------|-----------|
| საკუთარი კაპიტალის საწყისი მართი პერიოდის დასაწყისში | 1,927,047 | 1,300,445 |
| საქვსდებო კაპიტალის გაზრდა / შემცირება               |           | 111,710   |
| გაქვსული დივიდენდი                                   |           |           |
| მიმდინარე წლის მოგება ზარალი                         | 442,380   | 512,055   |
| ცვლილებები მოგება ზარალში                            | 32,995    | 2,837     |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                | 2,402,422 | 1,927,047 |

დირექტორი: ამირან ბასილაძე



დირექტორი: რუსლან ბასილაძე



მთ. ბუღალტერი:

მაკა აბრამიძე

